თოჯინა

მთელ დღეს ასე ატარებ

უსაქმურად, ძილშია,

გუშინ წიგნი მოგეცი,

არც კი გადაგიშლია.

და ემსგავსე დათუნას

და არა ჭამ არაფერს,

აბა, პირი გააღე

და კარაქი ჩაყლაპე!

არ მიჯერებ, თოჯინა?

ნახე, თუ არ განანო

და საღამოს, ძილის წინ,

თავი თუ არ დაგბანო!

ნოდარ დუმბაძე

ჩემი თოჯინა

ჩემი ცელქი თოჯინა

დავპატიჟეთ სადილზე...

სკამქვეშ ნოხი დავუგე,

დავაბრძანე ბალიშზე.

წვნიანს ზედ არ დახედა,

ვიცი უნდა კანფეტი...

თვალჟუჟუნა თოჯინავ,

რა ტყუილად გაქებდი!

იმერი ხარაძე

ტელეფონი

გაიღვიძებს თუ არა,

პაწაწინა ეკა

მიუჯდება ტელეფონს

და მთელი დღე რეკავს.

- ალო! თინა, შენა ხარ?

როგორა ხარ, როგორ?

რატომ აღარ მირეკავ,

დამივიწყე, გოგო?

როგორა გყავს თოჯინა?

მითხრეს, სიცხე ჰქონია.

დაბანილის გაყვანა

გარეთ გამიგონია?

თბილად გყავდეს ლოგინში,

საფენები დაადე.

ჩაიც ასვი ლიმონით...

აბა, კარგად! ხვალამდე!

- ალო! ლია, ეკა ვარ.
გუშინ ცირკში რა ვნახე -
კლოუნებმა ბურთისთვის
ერთმანეთი გალახეს.

მართლა, ჩვენმა ფისუნამ
დილით, იცი, რა მიყო?
დედამ რძე რომ დამიდგა,
თათი ჯამში ჩამიყო.

გოგო, თავის საუზმე
საწყალს, ალბათ, არ ეყო...
ახლა გემშვიდობები,
სხვაგან უნდა დავრეკო.

- ალო, ალო! ნინიკო,
მომენატრე ძალიან.
შენ რაც ბაღში დადიხარ,
ჩემთვის აღარ გცალია.

მალე ბაღში მეც ვივლი,
სამის ვხდები, ხომ იცი.

მაგრამ, რომ არ მეცალოს

შენთვის მაინც მოვიცლი.

თუმცა, ხშირად დარეკვა

მაშინ გამიჭირდება.

უნდა ვუთხრა მამიკოს,

მობილური მჭირდება...

საღამომდე გაისმის:

- ალო, ალოოო! ეს მე ვარ!

მალე ეკას სახელად

ეკაფონი ერქმევა.

ვასილ გულეური

ჭუპა-ჭუპა

ჭუპა-ჭუპა!

წყალი მალე!

თავი უკვე დავიბანე,

უჰ, რამდენი ქაფი დადგა,

შიგ ყელამდე დავიმალე!

თურმე ჩემი თოჯინა

ძლიერ დასაბანია.

დაბანა რომ არ უყვარს

განა დასამალია?

როგორ მოთხუპნულია,

სად იარა, სად არა!

ბანაობა გაამოს,

სუქდი, სუქდი,

პატარავ!

მაყვალა მრევლიშვილი

ავადმყოფი

დღეს სულ მოწყენილი ვარ,

ხასიათი წამიხდა,

იცით, ჩემი თოჯინა

ძლიერ ავად გამიხდა.

ხმას არ იღებს სრულებით,

არც საჭმელი არ უნდა,

კუ ექიმთან გაიქცა,

რა ვქნა, რომ არ დაბრუნდა?

ყოველ წუთში ოთახში

ნუ შემოხვალ, ბებია,

მოერიდე ავადმყოფს,

იქნებ გადამდებია.

ღმერთო, ნეტავ საშიში

არაფერი არ იყოს!

აქ ნუ მოსწევ პაპიროსს,

გარეთ გადი, მამიკო!

ნოდარ დუმბაძე

ფეხბურთი

დღეს დილიდან კაჭკაჭები
სულ ერთ ამბავს ჰყვებიან
– ამ საღამოს, მოედანზე,
ერთმანეთს შეხვდებიან

პანტიანის ნაკრები და
მუხიანის ნაკრები,
ერთმანეთზე კარგები და
ერთმანეთზე მაგრები!

აი, მართლაც შეიკრიბნენ
კბილკრაჭუნა მხეცები,
მეფე ლომმა შეახსენა,
რომ დაიცვან წესები.

გააფრთხილა, უღრიალა,
უბრიალა თვალები
– თამაშის დროს არ იხმაროთ
ეშვები და ბრჭყალები.

ჩვენს თუთიყუშ თუთიკოს კი

დავავალე მსაჯობა,

რადგან ვიცი, მსაჯობაში

მას ვერავინ აჯობა.

ჰა, ბურთი და მოედანი,

არ დაზოგოთ ერთურთი

და აჩვენეთ მაყურებელს

გემრიელი ფეხბურთი.

მსაჯმა მისცა ნიშანი და

ბურთი მაღლა ავარდა,

ირემმა რქით აიტაცა,

ლაღად გაინავარდა.

ბრაზობს თუთი, რაადგან წესებს

არვინ იცავს მის გარდა,

ირემს ცხვირზე დააფრინდა,

მაგრად ჩაუნისკარტა

– იცოდეთ, რომ უწესობას

არ შეგარჩენთ არავის,

ეს თამაში ფეხბურთია,

რქაბურთი ხომ არ არის?!

ვირუკელა აყროყინდა,

ზებრამ ტლინკი აჰყარა,

მარტორქამ კი თავისი რქით

მინდორი გადათხარა.

მაჩვი მგელთან წაკინკლავდა,

მელამ ტურას უკბინა,

ვეფხვი ხეზე აცოცდა და

ხარმა აქლემს ურქინა.

ამ დროს სპილომ დრო იხელთა,

ოცნება აუსრულდა,

ბურთს ხორთუმი ჩაავლო და

კარისკენ წაძუნძულდა.

დაეწია თუთიკო და

თავში ჩაჰკრა წკიპურტი

– ფეხბურთია ეს თამაში,

ხომ არ არის ცხვირბურთი?

აიხლართა ჩვენი სპილო

და ზედ ბურთზე წაიქცა,

ბურთმაც ბუჰ-ო – დაიძახა

და ძონძად გადაიქცა.

დაიმორცხვა სპილუკამ და

სულ გაწითლდა სირცხვილით,

ეს რომ ტახმა დაინახა,

ჩაგვიბჟირდა სიცილით.

დათვმა თავი მოიქექა,

შემდეგ მეფეს მიმართა,

ჯერ ბოდიში მოუხადა,

მერე თავი იმართლა

– ჩვენი საქმე არ არისო

ალბათ ბურთის თამაში,

სჯობს ერთმანეთს შევეჯიბროთ

კატლეტების ჭამაში.